ოქმი:**ო12. 3723180001**

თარიღი:**29/06/2023**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 27 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, დ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე, ნ. ნადირაშვილი, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

2.ინფორმაცია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ ნახევარში ახალგაზრდული პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი; ლ. სიჭინავა

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი-,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N 2 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო პროექტის კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ გამოთქვა აზრი, რომ პროექტში ჩაწერილიყო „2- დან 18 წლამდე“, ხოლო კომისიის წევრმა ი. თუთბერიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ აუტისტური ტესტირება ყველა ბენეფიციარზე დაფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს ასევე მოკლედ ესაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ ნახევარში ახალგაზრდული პროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა ლ. სიჭინავამ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ინფორმაციის ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2.ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი